

"კვირიკაშვილის მთავარი გამოწვევა საპარლამენტო არჩევნებამდე ქვეყნის სტაბილურად და მშვიდად მიყვანა"

"საპულაციო სასამართლოში მურუსიძისნაირი სააკაშვილისა და ადვიშვილის მოსამართლეების კონცენტრაცია ხდება"

ახალი მთავრობა, გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით, დამტკიცებულია - საპარლამენტო უმრავლესობამ მინისტრთა კაბინეტს ნდობა გამოუცხადა, თუმცა მმართველ გუნდთან ერთად, ირაკლი ღარიბაშვილის შემცვლელისგან პოზიტიური მოლოდინი "თავისუფალი დემოკრატიების" ლიდერს, **ირაკლი ალასანიასაც** აქვს:

- გულწრფელად მინდა, რომ გიორგი კვირიკაშვილმა ირაკლი ღარიბაშვილის მსგავსად ფიასკო არ განიცადოს. ვფიქრობ, ახალ პრემიერს შესაძლებლობების გამოვლენისთვის დრო უნდა მიეცეთ - გიორგი კვირიკაშვილს ას დღეს მივცემთ იმ დაპირებების შესრულების დასაწყებად, რაც კოალიცია "ქართულმა ოცნებამ" სამოგალოებას ერთად მივეცით.

აუცილებელია ინვესტიცია გაიზარდოს, პროდუქტებზე ფასები შემცირდეს და რეფორმები სწორი მიმართულებით განხორციელდეს. ბუნებრივია, კვირიკაშვილი ამას თვეში ვერ მოასწრებს, თუმცა ეს საკმაოდ დროა, რომ მნიშვნელოვანი პოზიტიური ტენდენციები გამოიკვეთოს. მეტიც, მთავრობაში განხორციელებულ ცვლილებას პოზიტიურად ვაფასებ.

- ერთის მხრივ, გიორგი კვირიკაშვილის მთავრობას პარლამენტში ნდობას არ უცხადებთ, მეორე მხრივ, ახალი პრემიერის უნარების გამოვლინებასა და პოზიტიურ ცვლილებებზე ლაპარაკობთ. პარტიის ძირითად პოლიტიკურ პოზიციამდე ვერ ჩამოყალიბდა?

- მთავრობას ნდობა იმ მარტივი მიზეზით არ გამოუცხადეთ, რომ ოპოზიცია ამ მთავრობაზე პასუხისმგებლობას ვერ აიღებს, თუმცა დიახ, გარკვეული ნდობა **გიორგი კვირიკაშვილის** მიმართ გვაქვს და იმისთვისაც მზად ვართ, საჭიროების შემთხვევაში რჩევებიც მივცეთ, რომ სამოგალოებაში არსებული გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ოდნავ მაინც გაუმჯობესდეს. **ვფიქრობ, კვირიკაშვილის მთავარი გამოწვევა საპარლამენტო არჩევნებამდე ქვეყნის სტაბილურად და მშვიდად მიყვანაა.** მჯერა, ის ამჩაგებულ გადაწყვეტილებებს არ მიიღებს და არც პოლიტიკურ დაკვეთებს შეასრულებს. პოლიტიკურ პროცესებში სამართალდამცავი სტრუქტურების ჩართვას ვგულისხმობ.

- რატომ არ გქონდათ ანალოგიური განწყობა ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ, არც მისი თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ისაუბრებთ?

- არ მიყვარს წაქცეულ ადამიანზე ლაპარაკი, თუმცა აშკარად გამოჩნდა, რომ პრემიერის პოსტიდან წასვლა ირაკლი ღარიბაშვილისთვისაც მოულოდნელი იყო. ბევრი რამ ერთად გავაკეთეთ, მაგრამ არაერთი მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება არ გამოგვივიდა, რაზეც გულნატკენი ვარ.

არ მინდა ახალ წელს ამაზე ვილაპარაკო, მას ახლა თავისი გზა აქვს. სხვათა შორის, სამოგალოებას ქვეყანაში არსებულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე გიორგი კვირიკაშვილის მიმართ სამართლიანი პრეტენზიები აქვს. ის სამი წლის განმავლობაში ეკონომიკის მინისტრი გახლდათ, მაგრამ ვიმეორებ, პრემიერი იმსახურებს ახალი წლიდან შანსი მივცეთ. თუ კვირიკაშვილმა მოქალაქეებთან კომუნიკაციის ადღგენა ვერ მოახერხა, ღარიბაშვილის მსგავსად ფიასკო ელოდება.

მაგალითად, თბილისის ყველა უბნის პრობლემაზე მერიას კონკრეტული ინფორმაცია მივაწოდეთ, თუმცა, შენც არ მომიკვდ, მერიამ ნერვიც კი არ შეატოკა მათ გასაცნობად.

- წინ საარჩევნო წელია, თქვენც ხელისუფლებაში უკვე გამოგცადათ სამოგალოება. რატომ უნდა გამოგცხადოთ ამომრჩეველმა ნდობა ხელმეორედ?

- ხელისუფლებაში ყოფნისას, ბუნებრივია, ეს პრობლემები ჩემთვის ცნობილი იყო და მათ გადაჭრაზეც

ვმუშაობდით. ახლა მთავარია, გიორგი კვირიკაშვილმა არჩევნებამდე პროცესები სტაბილურად მიიყვანოს.

- უკვე მეორედ უსვამთ ხაზს, რომ პრემიერის მთავარი ამოცანა არჩევნებამდე მშვიდად მისვლაა. პროცესების ესკალაციას პროგნოზირებთ?

- სამოგალოების შეურაცხყოფა, როდესაც სააპელაციო სასამართლოში მურუსიძისნაირი მოსამართლეები ბრუნდებიან. მოსამართლეთა კორპუსის დიდ ნაწილს პატივს ვცემ, თუმცა ფაქტია, რომ **სააპელაციო სასამართლოში მურუსიძისნაირი სააკაშვილისა და აღეიშვილის მოსამართლეების კონცენტრაცია ხდება. ეს პროცესი კი ერთ მარტივ სქემას უკავშირდება -**

მათ აღმინისტრაციულ სასამართლოზე კონტროლი უნდათ, რადგან საარჩევნო დაგების განხილვა სწორედ სააპელაციო სასამართლოში სრულდება. ამ სქემის სისრულეში მოყვანა კვირიკაშვილმა პოლიტიკური აქტიურობით უნდა შეაფერხოს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში სასამართლოზე პოლიტიკურ გეწოლას არ ვგულისხმობ. რაც შეეხება კონკრეტულად არჩევნებს, 2016 წლის არჩევნებზე "თავისუფალი დემოკრატები" დამოუკიდებლად გავალით. ჩვენ მზარდი რეიტინგი გვაქვს, ამომრჩევლის 60% კი, საკუთარ არჩევანზე ამ დრომდე არ ჩამოყალიბებულა.

- რატომ ფიქრობთ, რომ აღნიშნული 60% თქვენ დაგიჭერთ მხარს, როდესაც ასპარეზზე ახალი პოლიტიკური ძალები ჩნდებიან? ექსპერტები ფიქრობენ, რომ 2016 წელს ოპოზიციურ პარტიებს რეალურად მეორე ადგილისთვის ბრძოლა მოგიწევთ.

- სოციოლოგიური გამოკითხვები მოწმობს, რომ მეორად არჩევანს მოსახლეობა "თავისუფალი დემოკრატების" სასარგებლოდ აკეთებს. გასაგებია, რომ ახალი პოლიტიკური ძალები ჩნდებიან, მათ ნაწილს მეორე ადგილი სურს, მოგს საკუთარი პოლიტიკური ნიშის დაკავებაც გაუჭირდება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვბრძოლებთ. ფანტასტიკური ახალგაზრდა თაობა გვყავს, რომელიც პრორუსულ და პროდასავლური ძალებს შორის რეალურ განსხვავებას სრულად აცნობიერებს.

- ისე, ვიზა-ლიბერალიზაციაზე დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ, პასუხისმგებლობას არ გრძნობთ იმ განცხადებაზე, რაც მინისტრის პოსტიდან გადადგომის შემდეგ გააკეთეთ?

- პირველ რიგში, ვიზა-ლიბერალიზაციის მიღწევაში ჩემმა გუნდმა საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა. რაც შეეხება ჩემ განცხადებას, პროდასავლური კურსის შეცვლის საფრთხეზე მგკიცხვდ რომ არ მესაუბრა, საკმაოდ სახიფათო ტენდენცია შენარჩუნდებოდა. გაიხსენეთ, უმრავლესობის წარმომადგენლების განცხადებები რუსეთსა და სტალინზე. სანამ ჩვენ კოალიციაში ვიყავით, მსგავსი პოზიციის დაფიქსირებას ისინი ვერ ბედავდნენ.

- თქვენი აზრით, "რესპუბლიკელები" ან პარტია "ქართული ოცნების" წევრები საკმარისად პროდასავლურები არ არიან?

- არაფის ვეჯიბრები, მხოლოდ ფაქტებზე ვლაპარაკობ. ადრე მსგავსი განცხადებები არ ისმოდა, ბოლო პერიოდში - არაერთხელ მოვისმინეთ. ჩვენი პრინციპული პოზიციით მათ უფლება არ მივცით გზიდან გადავხვით. ქვეყნის საგარეო კურსი არ იცვლება, პოლიტიკური ძალები ევროპისკენ მწყობრი ნაბიჯებით მივდივართ. 2016 წლის არჩევნები გამოსაცდელი ველი იქნება როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის. ვფიქრობ, მარგინალური პოლიტიკური ძალები ამ გეგს ველარ ჩააბარებენ. ვერც ის ძალები მოიპოვებენ ნდობას, ვინც სამოგალოებას რადიკალიზმისკენ მოუწოდებს. ამომრჩეველი ყველა მათგანს მკაცრად გაფილტრავს. ამ მხრივ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს.

და ბოლოს, გილოცავთ ახალ წელს, 2016 წლის ყოველი წუთი ქვეყნის გასაძლიერებლად გამოგვეყენებინოს. სამოგალოებას კი ვუსურვებ, საქართველოს უკეთესი მომავლისთვის ოპტიმისტურად განეწყოს.

რუსუდან შელია

